მუშის განთავისუფლება
თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს.
ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

მუშა

1 წ.	6 თ.	3 თ.	1 თ.	
მ.	მ. კ.	მ. კ.	მ. კ.	
5	2 50	1 25	— 50	ტფილისში.
6	3 —	1 50	— 60	თბილ. გარ.
10	5 —	3 —	1 —	საზღ. გარ.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10—ს. 2 ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ. ადრესი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა, № 117.

№ 42 პარასკევი, 28 ივლისი, 1906 წ. თბილისი № 42

კაპტონში მოხდა არეულობა, რომელიც უმუშევრობამ გამოიწვია. სპარსეთში არეულობა გრძელდება.

გრიგოლ დიასამიძე, თავზარდაცემული, აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს თავის საყვარელ და ძვირფას მეუღლის.

სოფიო დიასამიძის,

დიმიტრი ხიმშიაშვილის ასულის, გარდაცვალებას მკათათვის 25-ს, საღამოს 10 საათზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე (ოლგას ქუჩა № 4).

დაკრძალვის დღე ცალკე იქმნება გამოცხადებული.

ასოა-ამწყობების თხოვნით მივმართავთ ყველა კორესპონდენტებს გვზავნონ თავიანთი წერილები, მხოლოდ

ერთ გვერდზე

დაწერილი.

თავისუფლების მოლოხის საკურთხეველი.

როდესაც ფანატიკოსი, ბრმა მორწმუნე, სარწმუნოებრივი ურჯუკი დაინახავს, რომ ის მისი ღმერთი, რომელსაც ის სასოებით თაყვანს სცემდა, რომელიც მიაჩნდა საუნჯეთ ყველა თავისი ავი თუ კარგი რწმენისა, სალაროდ თავის გასამართლებელ თუ გასამტყუნებელ ოცნებებისა, სინათლედ თავისი დახშული გონებისა, ცხოველყოფილ არსებათ თავის მაღალ თუ დაბალ გრძნობათა, განძათ თავისი ბილწ თუ წმინდა სიყვარულისა, თუ აი ამგვარად მისი სათაყვანებელი ღმერთი მიბრუნდა ყოვლად უხეშად ზურგი შეაქცია და არ განიკითხა მისი რწმენა, დაწიხლა მისი გრძნობები, უღალატა და დასტოვა ის მისი ბნელი გონების ბნელ გზაზე. არ დააკმაყოფილა მისი კითხვები, არ გაამართლა მისი ოცნებები, არ დააფასა მისი სიყვარული, მაშინ ფანატიკოსს რწმენა ემლვრევა, ერღვევა და ბოლოს მისი გონება და გრძნობა ამბოხდებიან—უკიდურესი თეისტი ათეისტი ხდება.

მაგრამ როდესაც სახელმწიფო მთელი თავისი ორგანოებით მთელი თავისი წარსული ისტორიით ამტკიცებს თავის პოლიტიკური, ეკონომიური, ზნეობრივი და გონებრივი მკვლელობის, ცარცვის, ქურდობის, გარყვნილების პროფესიას, როდესაც აწმყოში იგივე სახელმწიფო მომაკვდავი და მიბნედილი მიუხედავათ თავის აღსასრულის უეჭველ მოახლოვებისა, მაინც ხმარობს უკანასკნელ საშუალებებს. აცხარებს მობილიზაციას, უკასასკნელ თავის ბნელს, მახინჯს და მრავალი ხნის ბატონობით გათახსირებულ და გარყვნილ ძალებისას, მაშინ მიუხედავად ყველა ამისა სახელმწიფოებრივობით გაჟღენთილ ფანატიკოსებს არა თუ არ ემლვრევათ რწმენა ფეტიშსახელმწიფოისა, არა თუ არ ენგრევათ ნდობა განგება-პარლა ენტისა, არამედ ჯანქდებიან საზოგადოებრივი ცხოვრების დამამახინჯებელ მახინჯი სახელმწიფოს აჩრდილის წინააღმდეგ და სანამ ისინი გართული არიან მახინჯის მახინჯ-აჩრდილის წინააღმდეგ ბრძოლაში, მანამ თავისუფლების მოლოხი სახელმწიფო იწირავს უთვალავ მსხვერპლებს თავის წაბილწულ საკურთხეველზე.

მაგალითები შეწირულ მსხვერპლთა თვით მკითხველმა ეძიოს.

ალი.

ახალი ამბავი

—

26 ივლისს, საღამოს 10 საათზე მუშტაიდის გადასახვევში ელექტრონის ტრამვაის კანტორასთან ვიღაც უცნობმა პირებმა სასიკვდილოთ დასჭრეს ტრამვაის დირექტორი ეიდელმან-ლევი, რომელიც უკვე გარდაიცვალა. მსროლელები მიიმალენ ეიდელმანის მკვლელობამ, როგორც საზოგადოებაზე ისე ტრამვაის მსახურეებზე ცუდი შტაბეჭდილება იქონია.

— 25 ივლისს გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ კნ. სოფიო დიმიტრის ასული დიასამიძისა. განსვენებული დიდი დანაკლისია ქართული ფილარმონიური საზოგადოებისათვის, რომელსაც მან შესწირა 300 მ., ამასთანავე განსვენებული ირიცხებოდა ფილარმონიული საზოგადოების გამგეობის წევრათ თვით ამ საზოგადოების დაარსებიდან და გულმოდგინეთ ემსახურებოდა იმის ინტერესებს.

— როგორც განჯის მაზრიდან გვატყობინებენ ამ დღეებში სოფელ ქალას დასცემიან რამდენიმე შეიარაღებული თათარი, რომელთაც დაუწყიათ თოფის სროლა. სოფლიდან უპასუხნიათ თოფებითვე. უკუქცეულ თათრებს გადაუწვავთ მხოლოთ პურის ძნები და წასულან.

— სადგურ ჯუმათიდან იტყობინებიან რომ 25 ივლისს, 1 საათზე, როცა მატარებელი მონავალა მატარებლის ბორბლებ ქვეშ ჩავარდნილა ალექსანდრე მელიქოვი, მელიქოვისთვის მატარაბელს თავი გაუგდებინებია.

— თბილისის ქალაქის გამგეობამ გადასდო 600 მ. იაფი სადილოების და საჩაების თანხის გასაძლიერებლათ.

— ამ დღეებში თამამშევის ქარვასლაში მანუფაქტურის საქონლით მოვაჭრე კაჰკაჰევისათვის „ანარქისტების“ ორგანიზაციის სახელით მოუთხოვნიათ 506 მან. კაჰკაჰევს სთხოვენ ფული მიიტანოს კუკიის სასაფლაოზე და ქვის ქვეშ ამოსდოს. როგორც შევიტყვეთ მათ ოგანიზაციასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

— როგორც ზემო-იმერეთიდან გვატყობინებენ იქ სოფელს ვარძიაში ამ დღეებში თავს დასხმიან 25 შეიარაღებული კაცი ნესტორ ანთაძეს; წაუთმევიათ 800 მ. ფული და არხეინათ მიმალულან.

— 21 ივლისს სოფელ ბორში. თავს დასხმიან წიწილაშვილს. უცემიათ წიწილაშვილისათვის და ყოველივე, რაც მოხვედრიათ გაუტაცნიათ. წიწილაშვილი შეძლებულ გლეხათ ყოფილა ცნობილი.

კორესპონდენცია

—

სოფ. შუკრუტი. (ჭიათურის მიდამო). აქეთ ჭიათურის მიდამოებისაკენ ძაან გახშირდა კამათი (дебаты) ს.-რევოლიუციონერთა და ს.-დემოკრატთა შორის. სამშაბათს, 18 ივლისს, საღამოსს 5 საათიდგან აქ შუკრუტის გაშლილ მინდორზედ დაინიშნა კრება, სადაც იქნებოდნენ 500-მდე მუშები. ძნელი აღსაწერია მკითხველო გაზეთების ფურცლებზედ ის თუ, როგორი ფერი მიიღო კრებამ გათავების დროს. ჯერ ხომ მკითხველო ოღონდ პლეხანოვი არ ყოფილა ს.-დემოკრატებიდგან თორემ, ჭიათურიდგან უკანასკნელ პროპაგანდისტიდან დაწყებული ყველა იქ იყო, და მასთან ქუთაისიდან ზაკაზად გამოწერილი ერთი მაღალი ტანის ყვაწვილი ს.-დემოკრატი; ასე რომ არმია ს.-დემოკრატების პროპაგანდისტებისა ძლიერი იყო; შუკრუტის მწვანე მინდორს ამშვენებდენ იმათი დიდებული ცილინდრები. ეხლა დამეკითხებით მკითხველნო! რაზედ ჰქონდათ კამათიო?! რაზედ და კიდევ რაღაც მიწის მუნიციპალიზაციაზედ, კიდევ სახელმწიფო სათათბიროზედ, რაზედ და მიწის სოციალიზაციაზედ და პარლამენტარიზმზედ, რაზედ და იმაზედ, როგორ უყურებენ ს. დ. მშრომელ გლეხკაცობას და როგორ—ს. რევ... მაგრამ საუბედუროდ ისევ მშრომელი გლეხობისა, ს.-დემოკრატები, როგორც ნამდვილად უყურებენ ისინი მშრომელ გლეხკაცობას ისე კრების წინაშე კი არ ეუბნებიან, არამედ გადასხვაფერებით, გადამახინჯებით, რომ კრების და ლაპარაკის გათავების დროს მხოლოდ ტაშით დააჯილდოვონ შეუგნებელ მუშებმა. ეს ზაკაზათ გამოწერილი მაღალი აგიტატორი ს. დ. მართლაც რომ კიდევ უფრო მაღლა მაღლა მიდიოდა ჰაერში თავის ლაპარაკით; და იმნაირ რამეებს გამოურევდა ხოლ-

მე თავის სიტყვებში რომ სწორედ მაყურებელი, რომელიც კარგად დაუკვირდებოდა გაკვირვებას მიეცემოდა; რადგან ლაპარაკი პორციობით (მინუთობით) იყო, ამიტომ საშვალება არ ჰქონდათ არც ერთს არც მეორეს შენიშვნა მიეცათ ერთი მეორესათვის, და ამითი ისარგებლეს ს. დ. მა როგორც ნაქებმა დემაგოგობაში და დემაგოგ-ას კიდევ ერთი პრაცენტი მიუმატეს. აი, მაგალითად სად იხმარა დემაგოგია ქუთაისიდგან გამოწერილ მაღალმა აგიტატორმა ს. დემოკრატმა: ამხანაგებო! მიწის სოციალიზაცია ისაა რომ, ყველას ჩამოგერთმევათ მიწები ძალით, არა თუ მემამულეებს არამედ თქვენც, ვისაც ორი სამი ქცევაც გაქვთ, და გადაეცემა სასოგადოებასო, ერთი სიტყვით ყველას წაგერთმევათ მიწებიო; მართლაც რომ ძაან მაკვირებს ამ ს. დ.-ის ამნაირი შემკული დემაგოგობა და გადამ.ხ-ნჯებული უშინარსო სიტყვები; ჯერ ერთი რომ თუ კი ჩამოერთმევა ყველას ეს მიწები როგორც დიდ მეემამულებს და ისთე სახელმწიფოს საეკლესიოს, საკაბინეთოს და სხვას. „ვოზდუშნი“ შარით კი არ უშვებენ ზევით ჰაერისკენ ს.-რევ. ამ მიწებს, არამედ ამბობენ რომ, მშრომელ გლეხობას უნდა გადაეცეს და იმას მოხმადეს ვინც თავის მარჯვენით დაიმუშავებს და არა დაქირავებული მუშებითო; აღარ გესმით??! ეს საზოგადოება თქვენ ს. დ. ს რაღაც მპყლაჯუნებათ გაქვენ წარმოდგენილი. ეს საზოგადოება გახლავთ ისევ მშრომელი გლეხობა, გესმით?! ეხლა მეორე დემაგოგია: ერთმა ს.-რევოლიუციონერმა, როგორც ანტი პარლამენტარისტმ, თავის ლაპარაკში რაღაც მაგალითი მოიყვანა გერმანიის პარლამენტიდგან, და ამბობდა: გერმანიაში დიდი ხანია არსებობს პარლამენტი მაგრამ, მუშა ხალხს 8 საათის სამუშაო დღეც არ მოუპოვებიათ და აქ კი ქიათურაში რვა საათი უკვე მოიპოვეს მუშებმაო. ამ ლაპარაკით ის ამტკიცებდა რომ, პარლამენტშიდ დაჯობას არაფერი არ მოუტანია და არც მოიტანს, არამედ რევოლიუციის საშვალებით ქუჩაშიდ მუშა უმჯრო მოიპოვებს რვა საათის სამუშაო დღესაო. მეორე ს.-რევ. როგორც პარლამენტის მომხრე სულ სხვა აზრებს ატარებენ. ამით ისარგებლა ბ ნ. ს.-დემოკრატმა ქუთაისელმა და იფიქრა, რომ ესაა ეხლა დაუზნიე მაგათ დავთარიო, და მიმართა მუშებს თავის დემაგოგიით: ხედავთ ამხანაგებო როგორ დომხალივით აირია ს.-რევოლიუციონერებიო, ანარხიაა იმათ თავში; ერთი ამბობს: პარლამენტით არაფერი არ გაკეთდებაო, მეორეს კი სწამს დემოკრატიული რესპუბლიკა და როდესაც დ.-რესპუბლიკა, უეჭველია პარლამენტიც უნდა სწამდესო. ასე რომ, აღარ იციან რას ამბობენო. ამაზედ არ გეწყინოთ ბ-ნო ს-. დემოკრატო ქუთაისისავ და სწორედ გეტყვი რომ, ანარხია, როგორც ეს ბურჟუაზიას და ს-. დემოკრატიას ესმის და არა თვით ანარქისტ.-კომუნისტებს, თქვენ თავში ყოფილა და ვერ გაგიგიათ არა ს.-რევ ის მიტომ რომ, თუ თქვენ გაცნობილი ბრძანდებით ს. რევოლიუციონერებს, ისინი არიან ერთი ნაწილი ანტი-პარლამენტარისტები მეორე ნაწილი ს.-რ-სა პარლამენტარისტები, ასთე რომ როგორც სჩანს ეხლა ანარხია ბურჟუაზიულ მისი მნიშვნელობით იმით თავში მეტი ყოფილა ვინემ მათ თავში. (ანარხია არ იფიქროთ ანარქისტების არამედ ეს მეორე ანარხია თქვენ ს. დ.-ებს რომ გესმით და ამბობთ რომ ანარხიაა არევ-დარევაა გათახსირებაა ხალხის, და სხვა. აი სწორედ ამნაირი არევ დარევა თქვენ თავში ტრიალებს უსათუოდ როდესაც მიდიხართ საკამათოდ რომელიმე პარტიასთან მშრომელი ხალხის წინაშე, უნდა იცოდეთ და მასთან გადათვალიერებული უნდა ჰქონდეთ ს.-რევ.-ის აზრი რაიმე საკითხზედ; ეს რა გამოვიდა როგორც თქვენ დაგჰპირდებათ ისთე სთქვით ხოლმე ყველაფერი. ამასთან ისიც უნდა მოვახსენოთ ამ მაღალ ტანის ს.-დემოკრატს რომ, როდესაც ის ამბობდა მუშების წინაშე რომ, ვილაპარაკოთ და ამაღამვე გამოვარკვიოთ ჩვენ ჩვენი შეხედულება მშრომელ ხალხზედო, დავიყოთ, კენჭი ვყაროთ, და რომელი, რომელ პარტიას მიეკუთვნება ამაღამვე უნდა გადაწყდესო, რომ მერმე აღარ დაგვპირდეს კიდევ თავის ტეხაო; ეს ყველაფერი კარგი და პატიოსანი დიდებულო გვამო ს.-დემოკრატიისავ! მაგრამ ამაზედ რომ დაგეთანახმონ ზოგიერთმა შეუგნებელ მუშებმა, თქვენ უნდა გაუპირდეთ?? იმ მუშებს კი არა, თუ უკაცრავათ არ ვიქნები თქვენც გაკლიათ ჯერ იმის გაგება, თუ რა აზრის არიან ს. რევ. მშრომელ ხალხზედ და რა აზრისა ხართ თქვენ!.. ჯერ თქვენ ესეც არ გაგიგიათ, რომ ს.-რევ. არიან ზოგნი პარლამენტის მომხრე და ზოგნიც ანტი-პარლამენტარისტებიც; და თქვენ კი ორ-სამ საათში გსურთ დააფასოთ მშრომელ ხალხის სისხლი, როგორც დაგჰპირდებათ თქვენს ხალხს ისთე შეატრიალებთ. მეტი არაფერი არ მაკვირვებს, რით ხიბლავენ ასე ზოგიერთ მუშებს სოც.-დემოკრატები, როდესაც სოც.-რევოლ. დაიძახებს ხოლმე გაუმარჯოს მიწას და თავისუფლებასაო, ზოგიერთი

ფელეტონი

—

მოკლე სისტემა ანარქიზმისა.

(ე. მალატესტასი)

საუბარი მეცხრე.

(გაგრძელება *).

ამბრუაზ. წარმოიდგინეთ რომ მე კიდევ უნდა დაუბრუნდე კომმონისტურ ანარქიზმის შესახებ საუბარს. მართალი უნდა მოგახსენოთ რომ მე ვერ შევძელი მაგის შეთვისება.

გიორგი. თქვენთვის, რომელსაც მთელი სიცოცხლე მოვერობის პრივილეგიას და მესაკუთრეთა უფლების მცველ კანონთა ტომებში და ჟანდარმებში გაგიტარებიათ ისეთი საზოგადოება, სადაც არ არსებობს კერძო საკუთრება, მეამბოხენი და ტანჯულნი, რომელთაც თქვენის აზრით სასჯელად ციხე-ქვეყნებში გარდასახლება შეფერისთ, გგონიათ მთოვარეს მიაწყდება ე. ი. შეუძლებელია. მაგრამ თუ გინდათ სამართლიანად გასაჯოთ და თუ ძალას დაატანთ თქვენს თავს, რომ დასძლიოთ თქვენი აზრების ჩვეულებრივ მიმდინარეობას, და თუ გინდათ ჩაუფიქრდეთ საგნებს ისე რომ ეჭვის თვალით არ შეხედოთ, დარწმუნდებით, რომ ზრუნვა ყოველ საზოგადოებათა მიზნის განხორციელებისათვის, რომელიც თვითეულ წევრს კეთილდღეობაში ჩააგდებს, აი სწორეთ ანარქიული კომუნიზმი არის ასეთი მიზანი, რომელსაც ხალხმა აუცილებლათ უნდა მიაღწიოს, პირიქით, თუ თქვენ ფიქრობთ, რომ საზოგადოება არსებობს იმისთვის, რომ მუქთახორები კვებოს, მაშინ...

ამბრუაზ არა, არა, მე ვიცი, რომ საზოგადოებას მხედველობაში საყოველთაო ბედნიერება აქვს, მაგრამ მაინ ვერ ძალმიძს შევეთანხმო თქვენ სისტემას. მე კეთილსინიდისიერად ვცდილობ თქვენ აზრს შევეთანხმო, მაგრამ ჩემთვის ეს დასკვნა ისე უტოპიურია, ისე რომ...

გიორგი. მითხარით, ჩემს საუბრებში რომელი პუნქტია თქვენთვის გაუგებარი?

ამბრუაზ. უფლება... მე არ ვიცი... მთელი სისტემა...

როგორ თქვენ ამტკიცებთ რომ ყველა თანასწორად ისარგებლებენ არსებულ სიმდიდრით კომმუნიზმში, ძალიან კარგია, მაგრამ მე სრულებით ვერ წარმომიდგენია საზოგადოება უმთავრობით. თქვენ უკეთებთ საფუძვლათ, თქვენს სოციალურ შენობას, თავისუფალ მოქალაქეთა კავშირებს?

გიორგი. დიაღ, კავშირები არა იძულებითი.

ამბრუაზ. აი სწორედ ამაშია თქვენი მთავარი შეცდომა. საზოგადოება იგულისხმებს იერარქიას, დისციპლინას, თემისაგან კერძო პირის დამორჩილებას. საზოგადოება შეუძლებელია უფლების უავტორიტეტოთ.

გიორგი. ჩინაამდეგ! საზოგადოებას შეუძლია არსებობა მხოლოდ თანასწორთა შორის; თანასწორნი კი ჩვეულებრივად იმის მაგივრად რომ ერთი მეორე დასჩაგრონ თავისუფლად სთანხმდებიან თუ დაინახვენ რომ გამოსადეგია ისეთი დამოკიდებულება, რომელსაც სათავეში უძევს დამორჩილება ერთი საზოგადოების ნაწილისა მეორისაგან არის დამოკიდებულება როგორც ბატონებისა და მონებისა მე კი იმედი მაქვს რომ თქვენ არ უარყოფთ რომ, მონა ისეთი ამხანაგია თავის ბატონისა, როგორც ცხენი ან ძროხა თავის პატრონის.

ამბრუაზ. თქვენ კი სერიოზულათ ამბობთ რომ შესაძლებელია ისეთი საზოგადოება სადაც თვითეული იმას ასრულებს რაც მას უნდა?

გიორგი. ცხადია, ისეთ პირობებში, თუ ხალხი მოისურვებს საზოგადოებრივად ცხოვრებას, და გაყვებიან სოციალურ ცხოვრების აუცილებელ პირობებს.

ამბრუაზ. თუ არ მოისურვებენ?

გიორგი. მაშინ საზოგადოება შეუძლებელია. მაგრამ რახან, მით უმეტეს თანამედროვე ადამიანს, შეუძლია მხოლოდ საზოგადოებაში იპოვოს თავისი მატერიალური და მორალური, უზრუნველყოფა ძნელი წარმოსადგენია რომ ის უარყოფს იმას, რაც აუცილებელი პირობაა მის ცხოვრებისათვის და კეთილდღეობისათვის. ხალხისთვის მხოლოდ ძნელია, შეთანხმება განყენებულ ბაასებში.

მაგრამ რახან აღმოჩნდა რომ რაიმე საქმის ან გადადება ან გაგრძელება ყველასათვის აუცილებელი საჭიროებაა, მაშინვე მყარდება დამაკმაყოფილებელი თანხმობა. როგორც ხალხი მიხვდება რომ არავის შეუძლია თავის ნებაზე სხვისი დამორჩილება, მაშინვე განქრება ყოველივე უჯათი თავმოყვარეობისა, ყველა იქმნებიან დამჯერე და ერთი მეორესთან თავისუფლად შეთანხმებული და საქმე გაკეთდება საყოველთაო საკეთილ დღეოდ.

საქმე იმაშია რომ ხალხს უნდა შეაგნებინო, უვარგისობა ერთი მეორის გაყვლეფისა, და ერთი მეორესთან ბრძოლისა რომ ისინი ამით ბევრს კარგავენ და უნდა გულვიძო სურვილი იმ ორგანიზაციისადმი, რომელიც დამყარებული იქნება ურთიერთობაზე და სოლიდარობაზე.

ამბრუაზ. ამნაირათ თქვენ უნდა გადასდვად სოციალური რევოლიუცია მანამდი, სანამ ყველა არ დააფასებს ანარქიულ კომმუნიზმის უპირატესობას და არ მოისურვებენ მის განხორციელებას?

გიორგი. არა! უმეტეს ნაწილათ ნება თვითვეულ ინდივიდისა განისაზღვრება იმისდა მიხედვით თუ

*) იხილე მუშა № 36.

...ეგნებელი მუშები ძირს, ძირს. ...ილი დაჯილდოვებენ, არ ...ნდა მიწაო. სწორედ ერთნაირად ... გასაცინარიც არის და მეორე ...ნარად სატირალიც, თუ რატომ ...ბლის ეს მუშებს. ამასთან კიდევ ...ეგრ ძალ-დატანებით ერეკებიან ...ნთ პარტიაში. მე თვითონ ამ ...ერებაზედ, როდესაც გათავდა კრება, და როდესაც მუშები წავიდ-წამოვიდნენ და ყვიროდნენ ზოგი იქით ...ზოგი აქეთ, მივედი და გავჩერდი ...ახლო

თქვენ, თქვენი ცრუ თხოვნით ხალხს ვერ მოატყუებთ. ხალხმა კარგა ხანია გაიგო, რა სულიერიც ბრძანდებით! ვინ იყო ის კაცი, რომელმაც ბაზარში ფანრები დაამტვრია, მიტომ რომ ყაზახები არ გაყვნენ სანადიროთ? ეს ბრძანდებოდით თქვენ, ბ-ნო მიქიაშვილო! ვინ იყო ის კაცი, რომელმაც სთქვა, რომ ლანჩხუთელებს 8 ათასი მანეთი შტრაფი აქვს გადასახდელი და უსათუოთ უნდა გადავახდევინოო? ეს ბრძანდებოდით თქვენ, ბ-ნო მიქიაშვილო! განა კიდევ გაქვთ იმედი შერიგებაზე? არა, ბატონო, თქვენი ოცნება ჰგავს იმ ბუშტს, რომელსაც. შეუბერავ სულს თუ არა, მაშინვე გასქდება!...

აქაურმა გლეხებმა გაჩეხეს სახელმწიფო ტყე და ხეები წაიღეს ფოთში გასასყიდათ გაიგო თუ არა ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ ეს ამბავი, აფრინა მაშინვე კაცი ფოთში და მოსთხოვა გლეხებს ყოველ აღებულ მანეთზე თითო აბაზი, ვითომ და საზოგადოების სასარგებლოთ. ღმერთმაც ჰქნას ასე მომხდარიყოს! მაგრამ ძაან სირცხვილია თქვენთვის ბ-ნო სოციალ-დემოკრატებო!... არავითარი სოციალისტური პარტია არ იკადრებდა იმას, რასაც თქვენ ჩადიხართ. ნუ-თუ თქვენ მთავრობის მაგიერობას სწევთ? ვინ მოგცათ უფლება, რომ ბაჟს ადობთ სახალხო კუთვნილებას? ხალხმა? ხალხი კა უკმაყოფილოა ამის შესახებ!... მაგრამ რა მოეთხოვება იმ დოგმატიზმით გამსჭვალულ ხალხს, რომელიც მაგალითად ასე უხსნის ერთ კაცს ანარქისტების მოძღვებას ან და სხვა პარტიისას: „იმათ (ესე იგი სოციალ-დემოკრატების გარდა ყველა პარტიას) ნება აქვთ შემოვიდეს ამ შენს სადგომში და ბომბა გესროლოს, აი ეს არის მათი მოძღვრება“.

ყველაფერს ბოლო აქვს ბ-ნნო სოციალ-დემოკრატებო და თქვენს ბატონობასაც ექნება ბოლო ..

ვახუშტი.

—

ჭიათურა. გაზეთ „ლამპრის“ № 52-ში მოთავსებულია, პროტესტები, ანარქისტების წინაღმდეგ პროტესტები ბევრი ადგილიდან არის დაბეჭდილი, და მასთან ჭიათურის ხელოსან პარიკმახერებისაგან და დალაქებისაგან,აც (21 კაცისა.) როდესაც ვნახე ეს პროტესტები, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე 21 კაცს, და სულ იმას ვცდილობდი, რომ გამეგო ეს პროტესტი მართალი იყო თუ არა მინდოდა სამართლე გამომერკვია და პირადათ ვეკითხებოდი რომ ნამდვილათ გამეგო. ჩემ შეკითხვაზე მიპასუხეს, რომ ჩვენ არც პროტესტი გაგვიცხადებია ანარქისტების წინაღმდეგ და არც წაგვიკითხავს ჯერ გაზეთი „მუშა“. „მუშის“ ლანძღვის შესახებ გავიგე ნამდვილათ, რომ ჭიათურის ხელოსან პარიკმახერებისაგან და დალაქებისაგან, 21 კაცის პროტესტი ტყუილი გამოდგა. ე. ი. სხვის მოტყუილებით ხელის მოწერით, როგორც ჭიათურის პროტესტი გამოდგა ტყუილი, ისე. შეიძლება სხვაც ტყუილი იყოს! ნუ-თუ ამის შემდეგ საზიზღარი არ არის პროტესტანტიზმის თაოსნები.?

მუშა ი. დ.

რუსეთი

—

იოგანესბურგში მომხდარ ებრაელთა მიტინგზედ, მიიღეს რეზოლიუცია, რომ დაარსებულ იქმნას ებრაელთა ავტონომიური კოლონია აღმოსავლეთ აფრიკაში.

(ნოვოე-ვრემია).

—

როგორც „XX ვეკ“-ს შეუტყვია პოლიციის დეპარტამენტი რუსეთსა ჰყოფს შვიდ ოლქად. ამ ოლქების უფროსებად დანიშნული იქმნებიან ბრალმდებელნი და მათი ამხანაგები; რომელნიც პოლიცის დეპარტამენტის უფროსების უფლებით იქმნებიან აღჭურვილნი. სამმა უკვე განაცხადა თანხმობა.

—

პეტროვსკიდგან (სარატოვის გუბერნია) დეპეშით ატყობინებენ „რუსკოე სლოვო“-ს, მემამულენი სტოვებენ თავიანთ მამულს, მორბიან აქ, გლეხებს დაუწვავთ მთლად ბალახი ოზნობიშინისა, დელივრონისა და ხონდინისა.

—

ჭრილობისგან გარდაიცვალა ადმირალი ჰეკლემიშევი. დოლგუნინის მაიაკთან სდგანან 4 გემი ნაღმოსნურ ნაწილისა, რომელნიც იღებდნენ მონაწილეობას არეულობაში. ღამით კრონშტატში გამოაცხადეს საალყო წესები. სამხედრო საავლე სასამართლომ კრონშტატში, ხუთშაბათს საღამოს შვიდს კაცს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა. (XX ვეკ).

—

დღეს „რუს ხალხის კავშირი“ ს საჩაიეს გახსნისათანავე, დვორიანსკი ქუჩაზედ, აკლებულ იქმნა შეგნებულ მუშების მიერ; გასტეხეს შუშები, ჭურჭელი და სხვანი. გამოიწვიეს ყაზახები და პოლიცია. უბედური შემთხვევა არ ყოფილა. დაჭერილია რამდენიმე შემთხვევით გამვლელი. (XX ვეკ).

—

მოსკოვის ხულიგანთა გაზეთი „მაიაკ“-მა ექვსი საათის წინად აუწყა მოსკოველებს შემზარავი სიკვდილი გერცენშტეინისა. ამაზედ ეხლა ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქცია. მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ მიიღო თუ არა ცნობა, მისწერა ადმინისტრაციას მიიღონ ზომები რომ როგორმე აღმოაჩინონ ბოროტ-მოქმედნი. მოსკოვის გრადონაჩალნიკმა გენერალ-მაიორ რეინბოტმა პირველი ჩვენება ჩამოართვა „მაიაკ“-ის რედაქტორ „ცნობილ“ კიევის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტად ნამყოფს გრენს, რომელმაც მისცა ჩვენება, რომ მან მიიღო ცნობა მოსკოვის ცნობილ შავ-რაზმელების გაზეთ „ვეჩე“-დგან, რომელიც ისიც იბეჭდება ერთ და იგივე სტამბაში „ვეჩე“ და „მაიაკი“-ც. (რეჩ)

—

როგორც „რუსკოე სლოვო“-ს ატყობინებენ პეტროვსკიდგან დაღესტანის ოლქიდგან, ჯარში პროპაგანდის გაწევის გამო, დაუპატიმრებიათ პოდპორუჩიკი სტოლბლევსკი და ოთხი უნტერ-ოფიცერი.

წერილი რედაქციის მიმართ.

—

ამხანაგო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ჩვენს პატარა წერილს თქვენს პატივცემულ გაზეთში.

„მუშის“ 36 ნომერში დაბეჭდილია ქუთაისიდგან ვრცელი წერილი შემდეგი სათაურით: „იოსებ აბზიანიძე—თვითმპყრობელობა ქუთაისის ქალაქის გამგეობისა!“ ამ წერილის ავტორს ბ. „თ—ლი“-ს თქვენი პატივცემული რედაქცია შეცდომაში შეუყვანია. ვინაიდგან მთელი წერილი თავიდგან ბოლომდის არის მტკნარი სიცრუე და ცილის წამება, ამისათვის წერილის ავტორს ბ. „თ—ლი“-ს უმორჩილესათ ვთხოვთ თქვენივე გაზეთის საშუალებით სამედიატორო სამართალში გამოგვყვეს.

ჩვენის მხრით ვნიშნავთ მსაჯულებათ ვარლამ ბურჯანაძეს, სვიმონ ქვარიანს და ივანე კილაძეს. ვსთხოვთ ბ. „თ—ლი“ ს თავის მხრით დანიშნოს მსაჯულები: სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულო უნდა იქნეს მსაჯულებისათვის, თავის დადგენილება დასტამბონ თქვენ პატივცემულ გაზეთ „მუში“-ს მახლობელ ნომერში. ბ. „თ—ლი“-ს სამედიატორო სამართალში გამოსასვლელათ და მსაჯულების დასასახელებლათ ვძლევთ ორი კვირის ვადას.

თუ ვინიცობაა ბ. „თ—ლი“ სამედიატორო სამართალში არ გამოგვყვა მაშინ მისს საქციელს თუ რა სახელს უწოდებთ და რა გზას მივმართავთ გაცნობებთ მახლობელ თქვენს პატივცემულ გაზეთის ნომერში.

დავშთებით ღრმა პატივის ცემით იოსებ აბზიანიძე. ვარლამ ფანცხავა. ნიკო შეონია.

—

P. S. დასამტკიცებლად იმისა, თუ რამდენათ მართალია წერილის ავტორი, ჩვენ წერილთან ვაახლებთ პატივცემულ რედაქციას მოწმობას ქუთაისის ქალაქის გამგეობისას, რომ ამავე გამგეობაში მოსამსახურე მოსე გიგინეიშვილი სამსახურიდან არ არის დათხოვნილი, რასაც იმედია პატივცემული რედაქცია გამოაქვეყნებს.*)

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენ.).

—

მინსკი. სახელმწიფო ბანკის განყოფილენისაგან, არტელშჩიკმა სოფდუკოვმა მიიღო ჩრდილოეთის ბანკის ყალბის ჩეკით 100,000 მანეთი.

მოსკოვი. გრადონაჩალნიკმა მისწერა ქარხნის პატრონებს, რომ მისცეთ მუშებს გაფიცულ დროის ხვედრი ფული, თორემ იძულებული ვიქნები დავკეტო ქარხნები. გაფიცულნი არიან 11,000 მუშა და 10,000 სტამბის მუშები

ლონდონი. კაპტონში მოხდა არეულობა, რომელიც უმუშევრობამ გამოიწვია. ნეგრთა ბრბო მოაწვა პირველ მინისტრის ბიუროს, მუშაობას თხოულობდენ, აიკლეს დუქნები. წესრიგი აღადგინეს.

ბრესტ-ლიტოვსკი. მოჰკლეს ციხის უფროსი დრუჟლოვსკი. მკვლელი მიიმალა.

ვარშავა. პივნოი ქუჩაზედ, უცნობმა პირმა დასჭრა უბნის ზედამხედველი დრაჟბი. შემთხვევით დასჭრეს ქუჩაში მიმავალი მეწუღე კოჟენევსკი.

ლონდონი. სპარსეთში არეულობა გრძელდება. ბრიტანიის საელჩოში მორბიან თავ-შესაფერის საძებნელად.

— ბერძნების ბანდა დაეცა ბოლგარელების სოფელ გარნიჩევოს. დამწვარია რამდენიმე სახლი, გაგზავნილია ჯარი.

ვარშავა. „ნოვოე-მესტო“-ში უცნობმა პირმა მოჰკლა უბნის ზედამხედველი.

ეკატერინოსლავი. მიტინგზედ შეყრილ მუშებთა და პოლიციელთა შორის მოხდა შეტაკება. დაპატიმრებულია ასამდე კაცი. არიან დაჭერილნიც.

---

*) შესაფერი მოწმობა, რომელიც ამტკიცებს, რომ გიგინეიშვილი არც ყოფილა და არც არის დათხოვნილი.

რედ. შენ იშვ.

რედაქტორ გამომცემელი

მიხეილ დიასამიძე.

ელექტრონის სტამბა „გუტენბერგის“, სასახლის ქუჩა, სახლი ქარ. თავ.-აზნაურობისა.